სამშობლო, დიდის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990
ხუთშაბათი
5
ივლისი
№80 (10317)
ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობა
### საინფორმაციო ცნობა

1990 წლის 2 ივლისს, დილის 10 საათზე, მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას შეუდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობა.

ყრილობა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

აზრთა გაზიარების შემდეგ დელეგატებმა აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები—პრეზიდიუმი, სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები.

ყრილობამ განიხილა დელეგაციების წარმომადგენელთა თათბირის მიერ შემუშავებული დღის წესრიგი და დამატებათა გათვალისწინებით დაამტკიცა იგი შემდეგი სახით:

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში სკკპ 28-ე ყრილობისადმი და პარტიის ამოცანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების, ცენტრალური კომიტეტის მდივნების ანგარიშები.

სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

სკკპ ბიუჯეტი და ქონება.

სკკპ 28-ე ყრილობის საპროგრამო განცხადება „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ".

სკკპ წესდება.

სკკპ ცენტრალური საკონტროლო კომისიის დებულება.

პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

სკკპ 28-ე ყრილობის რეზოლუციები, განცხადებები და მიმართვები.

შემდეგ დაამტკიცეს ყრილობის მუშაობის რეგლამენტი.

შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობდა ნ. ი. რიჟკოვი—სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა.

ჩაი—90

## ვინ, როგორ შეასრულა ჩაის კრეფის მაის-ივნისის დავალება

| კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები | მაის-ივნისის გეგმა | შესრულდა 2 ივლისისთვის | შესრ. პროც. |
|---|---|---|---|
| ახალაბასთუმანი | 540 | 576 | 106,7 |
| ახალსოფელი | 667 | 780 | 116,9 |
| „კოლხიდა" | 434 | 459 | 105,8 |
| ახალკახათი | 350 | 475 | 135,7 |
| გრიგოლიში | 344 | 354 | 102,9 |
| ინგირი | 1250 | 1108 | 86,6 |
| კახათი | 1193 | 1188 | 94,6 |
| კოკი | 260 | 279 | 107,3 |
| კორცხელი | 601 | 520 | 86,5 |
| ნაცატუ | 397 | 350 | 88,2 |
| ნარაზენი | 1100 | 1043 | 94,8 |
| ოდიში | 605 | 567 | 93,7 |
| ყულიშკარი | 605 | 645 | 106,6 |
| ოქტომბერი | 597 | 420 | 70,4 |
| რიყე | 675 | 421 | 62,4 |
| რუხი | 1620 | 1030 | 63,6 |
| შამგონა | 387 | 415 | 107,2 |
| ჩხორია | 581 | 541 | 93,1 |
| ტყაია | 425 | 395 | 92,9 |
| ცაიში | 464 | 364 | 78,4 |
| ურთა | 266 | 236 | 88,7 |
| ჭაქვინჯი | 738 | 700 | 94,9 |
| ჭითაწყარი | 589 | 488 | 82,8 |
| ჭკადუაში | 818 | 435 | 53,2 |
| ჯიხაშკარი | 430 | 416 | 96,7 |
| ორულუ | 143 | 168 | 117,5 |
| **საბჭოთა მეურნეობები** | | | |
| აბასთუმანი | 328 | 300 | 91,5 |
| ანაკლია | 82 | 61 | 74,4 |
| განარჯიის მუხური | 61 | 57 | 93,4 |
| დიდინეძი | 127 | 113 | 88,9 |
| დარჩელი | 614 | 573 | 93,3 |
| ზედაეწერი | 1975 | 1862 | 94,3 |
| ინგირი | 1526 | 1600 | 104,8 |
| ნარაზენი | 1117 | 1085 | 97,1 |
| ონარია | 859 | 903 | 105,1 |
| [illegible] | 1094 | 992 | 90,7 |
| ორსანტია | 257 | 280 | 109,7 |
| ჩაის [illegible] | 104 | 97 | 93,3 |
| სულ რაიონში | 25530 | 25308 | 99,1 |

## შეხვედრა დელეგატებთან

კვირას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე შეხვდა სკკპ 28-ე ყრილობის დელეგატებს საქართველოს კომპარტიისაგან. შეხვედრაზე სჯა-ბაასი ეხებოდა შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას და სკკპ ცენტრალური კომიტეტის განვლილი პლენუმისა და პარტიის 28-ე ყრილობაზე დელეგაციათა წარმომადგენლების თათბირის შედეგებს. ერთხელ კიდევ დადასტურდა ჩვენი დელეგატების და, მაშასადამე, საქართველოს მთელი კომპარტიის პოზიცია, დაზუსტდა პრაქტიკული ხასიათის ცალკეული მომენტები. ლაპარაკი იყო მოკავშირე რესპუბლიკების, კერძოდ, რუსეთის სფსრ, უკრაინის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან დამოუკიდებელი საქმიანი კავშირურთიერთობის დამყარებაზე.

თ. ბრიგალაშვილი,
საქინფორმის სპეც. კორ.

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება
### საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე სსრ კავშირის რიგი კანონების შეფასების შესახებ

ხელმძღვანელობს რა საქართველოს სსრ სუვერენიტეტის დაცვის აუცილებლობით და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ამოცანებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. მიჩნეულ იქნეს, რომ სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის, კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის, ეკონომიკური ურთიერთობის საფუძვლების, საკუთრების, საგანგებო წესების სამართლებრივი რეჟიმის შესახებ, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადებთან დაკავშირებული სსრ კავშირის კანონები არ შეესაბამება საქართველოს სსრ ინტერესებს.

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თავიანთ საქმიანობაში იხელმძღვანელონ ამ დადგენილებით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი,
ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 20 ივნისი

## ნახევარი წელი მიიწურა, როგორია შედეგები?

საიჯარო საწარმო ფირმა „ენგური" დირექტორმა ზ. გოგოხიამ რედაქციას აცნობა, რომ საწარმოს კოლექტივმა წარმატებით შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და მიწოდების ნახევარი წლის დავალება. გეგმიური 2 მილიონ 200 ათასი მანეთის მაგიერ გამოშვებულ იქნა 2 მილიონ 290 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. მიწოდების გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით.

საიჯარო ფირმამ ნახევარ წელში გამოუშვა 104 ათასი დეკალიტრი უალკოჰოლო სასმელი.

## საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისაგან, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანებული პრეზიდიუმისაგან, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისაგან

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანებული პრეზიდიუმი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორი სკკპ წევრი 1961 წლიდან, საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის წევრი რევაზ ალექსანდრეს ძე ივარდავა და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

### რ. ა. ივარდავას დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ

შეიქმნა რ. ა. ივარდავას დამკრძალავი კომისია მ. ბოკუჩავას (თავმჯდომარე), მ. დემურიას, გ. გოგოხიას, მ. [illegible], ნ. ჯაბუას, ლ. ალანიას, ა. ქურჩულორიას შემადგენლობით.

# სახალხო დეპუტატთა ზუგდიდის საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანებული პრეზიდიუმის სხდომაზე

## (საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკასა და მის მიმდებარე სოფლების დასახლებულ ზონაში შექმნილი მძიმე ეკოლოგიურ-სანიტარული მდგომარეობის შესახებ)

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ერთობლივმა პრეზიდიუმმა ამ დღეებში განიხილა საკითხი საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკისა და მის მიმდებარე სოფლების დასახლებულ ზონაში მძიმე ეკოლოგიურ-სანიტარული მდგომარეობის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკაში დამონტაჟებული დანადგარ-მოწყობილობების ტექნიკური და ტექნოლოგიური ნაკლოვანებების, მათი ფუნქციონირების პროცესში გარემოს დაცვის ღონისძიებების იგნორირების შედეგად ადგილი აქვს როგორც თვით ფაბრიკის, ასევე მისი მიმდებარე სოფლის დასახლებული ზონის ეკოლოგიურად გაბინძურების და სანიტარული რეჟიმის დარღვევის მოუთმენელ ფაქტებს. კერძოდ ფაბრიკის საწარმოო დანიშნულების ობიექტებიდან გამოსული სამრეწველო ნარჩენები, გაბინძურებული ჩანარეცხი და ფეკალური მასა ყოველგვარი წინასწარი გადამუშავების გარეშე გადადის მდინარე ჭურში და დაუნდობლად ანადგურებს ფლორასა და ფაუნას. ამასთან აღნიშნული მიზეზით შექმნილია ანტისანიტარული ვერა, მომრავლებულია მავნე მწერები, გაბინძურებულია ჰაერი, რაც ფაბრიკის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომასა და პროტესტს იწვევს. მოსახლეობის აქტიურად განწყობილი ნაწილი, შექმნილი მდგომარეობის უცვლელად დარჩენის შემთხვევაში, პროტესტის ნიშნად აყენებს პრინციპულ მოთხოვნას უკიდურესი ზომების გამოყენებით, ფაბრიკის ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ.

შექმნილი პრობლემების ლოკალური გადაწყვეტა საკუთარი ფინანსური რესურსებით დაეკისრა ზუგდიდის № 16 მოძრავ-მექანიზებულ კოლონასთან (უფროსი ბ. კუკავა) შექმნილ სპეციალიზირებულ კოოპერატივ „კვიბას“ რომლის მიერ ამ მიზნით ამჟამად ხორციელდება სათანადო ტექნიკური და პრაქტიკული ღონისძიებები. შესრულებული მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოების მიუხედავად, აღნიშნული კოოპერატივის რითმულ მუშაობას საგრძნობლად აფერხებს ტექნიკისა და მექანიზმების უკმარისობა, განსაკუთრებით კი ამ ეტაპზე ფინანსური საშუალებებით შეზღუდულობა.

ზემოთ აღნიშნულ კოოპერატივს ამჟამად ათვისებული აქვს ფაბრიკაში არსებული ფრინველის ნაკელისა და საწარმოო ნარჩენების ბაზაზე ორგანული სასუქების გადამუშავება, რომლის რეალიზაციამ უნდა უზრუნველყოს კოოპერატივის მიერ გაწეული დანახარჯების კომპენსაცია, საჭირო ტექნოლოგიური ციკლის გავლის გამო, დამუშავებული ორგანული სასუქების მთლიანი რეალიზაცია ვერ ხერხდება მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალამდე. ამიტომ მეფრინველეობის ფაბრიკაში კოოპერატივის მიერ დაწყებული სამუშაოების შეუფერხებლად ბოლომდე მიყვანისათვის საჭიროა ამ სასუქის მომხმარებელმა რაიონის სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა აღნიშნულ კოოპერატივს ავანსად ჩაურიცხონ მისი ღირებულების შესაბამისი ფულადი თანხა.

მეფრინველეობის ფაბრიკის დირექციას (დირექტორი ტ. ქანთარია) მართებს ენერგიული მეცადინეობა გარემოს გაბინძურებისაგან დაცვის ღონისძიებების დაჩქარებისა და მასზე დამოკიდებული ზოგიერთი პრაქტიკული საკითხის ბოლომდე მიყვანისათვის.

პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი რთული ეკოლოგიური და სანიტარული პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტისათვის „სახაგრომრეწვის“ საწარმოო გაერთიანება „ფრინველმრეწვმა“ (მმართველი გ. გვარჯალაძე) უნდა შეიმუშაოს და უახლოეს პერსპექტივაში განახორციელოს ახალი პროგრესული ტექნოლოგიის საფუძველზე აღნიშნული ფაბრიკის ტექნიკური გადაიარაღებისა და მოდერნიზაციის საშუალებანი.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო რაიონული საბჭოების გაერთიანებულმა პრეზიდიუმმა განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის დირექციას დაევალა მიაღწიოს გარემოს გაბინძურებისაგან დაცვის ყველა იმ ღონისძიებების დაჩქარებას, რომლის განხორციელება უშუალოდ დამოკიდებულია დირექციაზე. ამ მიზნით მოაწყოს ჩანარეცხი, სანიტარულად გაბინძურებული წყლის შესაკრები სათანადო აუზი და დაგროვილი წყლის მასის ცენტრალურ სალექარში გადაქაჩვისათვის წყალსადენი მილების გაყვანა უზრუნველყოს 15 დღის ვადაში.

პრეზიდიუმმა № 16 მოძრავ მექანიზებული კოლონის ხელმძღვანელობისაგან (უფროსი ბ. კუკავა) მოითხოვა ამ კოლონასთან არსებული კოოპერატივ „კვიბას“ ძალებით დააჩქაროს მეფრინველეობის ფაბრიკაში წარმოქმნილი მწვავე ეკოლოგიური სიტუაციის და სანიტარული ვითარების სტაბილიზაციის უზრუნველმყოფი ლოკალური ტექნიკური და პრაქტიკული ღონისძიებების შესრულების დაჩქარება წინასწარ განსაზღვრული საპროექტო სქემითა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

ამ მიზნით აგრეთვე დავალებები მიეცათ რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ ზემოთაღნიშნული კოოპერატივის მიმდინარე ანგარიშზე მათთვის სარეალიზაციოდ განკუთვნილი ორგანიული სასუქის ღირებულების ჩარიცხვა ქვემოთ მოტანილი № 1 დანართის შესაბამისად.

„საქწყალექსპლოატაციის“ ზუგდიდის № 9 მოძრავ-მექანიზებულ კოლონას (უფროსი გ. ჯიქია) და „საქსოფლქიმიის“ ზუგდიდის სარაიონთაშორისო გაერთიანებას (თავმჯდომარე ო. ჭანია) დაევალა დასახელებული კოოპერატივის მიერ დამზადებული ორგანული სასუქის შეზიდვა დაყვანილი გეგმის მიხედვით რაიონის შესაბამის საზოგადოებრივ მეურნეობებში.

პრეზიდიუმმა რაიონის ვეტერინალურ რაზმს დაავალა უზრუნველყოს საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის, მისი მიმდებარე ტერიტორიის სისტემატური სანიტარული დამუშავება და აქ არსებული ეპიდემიის კერებისა და მავნებელ მწერთა ლიკვიდაცია.

სამბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის დირექციამ (დირექტორი ტ. ქანთარია) სისტემატური სანიტარული მომსახურების მიზნით ერთ კვირის ვადაში უზრუნველყოს სათანადო ხელშეკრულების გაფორმება რაიონის ვეტრაზმთან.

პრეზიდიუმი ბუნების დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის, ხელმძღვანელობისაგან (თავმჯდომარე გ. ხუბულავა) მოითხოვს სისტემატური კონტროლი დააწესოს საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკისა და მის მიმდებარე ზონაში გაბინძურებისაგან გარემოს დაცვაზე, გადაჭრით აღკვეთოს ამ საქმეში დადგენილი მოთხოვნების დარღვევები, გაატაროს კანონით გათვალისწინებული სანქციები ბრალეულ პირთა მიმართ.

მეფრინველეობის ფაბრიკაში შექმნილი მეტად მძიმე ეკოლოგიური და სანიტარული ვითარების ნორმალიზაციის, ამ პრობლემური საკითხის კომპლექსურად გადაწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით დაისვას საკითხი „სახაგრომრეწვის“ რესპუბლიკური გაერთიანება „საქფრინველმრეწვის“ ხელმძღვანელობის (მმართველი გ. გვარჯალაძე) წინაშე, უახლოესი პერსპექტივებისათვის ზემოთაღნიშნულ ფაბრიკაში ტექნიკური გადაიარაღებისა და მოდერნიზაციის ღონისძიებების აუცილებელი განხორციელებისა და ამ დანიშნულებით საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფის შესახებ.

აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე კონტროლი პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია სისტემატურად მოხსენდეს სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების გაერთიანებულ პრეზიდიუმს.

---

დილის ათი საათი იქნებოდა როცა ახალსოფლის საშუალო სკოლასთან ახლომდებარე ჩაის პლანტაციაში მოსწავლე გოგონები გაფანტულიყვნენ. ესენი ცნოდა. კოლმეურნეობას დაარსების დღიდან ხელმძღვანელობდა ელისო აფრასიძე, რომელიც წელს ამთავრებს საშუალო სკოლას.

# ასე ვაპირებთ წელსაც

ალბათ, მეათეკლასელები იქნებიან—გავიფიქრე და მივუახლოვდი. მისვლისთანავე პირველი შემომეგება ჭალარათმიანი, სანდომიანი სახის ქალბატონი, ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი ლუბა სართანია. ერთმანეთს მივესალმეთ და პირდაპირ საქმეზე გადავედი.

—ესენი მეათეკლასელები არიან?

—აქ მერვედან დაწყებული მეთერთმეტეს ჩათვლით ყველა კლასის მოსწავლეა, ისინი მინიკოლმეურნეობის წევრები არიან.

როგორც უკვე გაირკვა, ეს ფირთობი ახალსოფლის საშუალო სკოლასთან ჩამოყალიბებულ მინიკოლმეურნეობას ეკუთვნოდა.

—იგი ყოველგვარ საქმიანობას დაუზარელად და დროულად ასრულებდა,—მიყვება ლუბა მასწავლებელი,—ძალიან მენანებოდა, მაგრამ რახან ის უკვე ეთხოვებოდა სკოლას, თავმჯდომარე უნდა შეგვეცვალა. იანვარში ჩავატარეთ საანგარიშო კრება და მთლიანად გადავახალისეთ გამგეობის შემადგენლობა. ხელმძღვანელად მოსწავლეებმა თვითონ აირჩიეს მეათეკლასელი კობა ჯოჯუა. ბავშვები ხალისით მუშაობენ.

მინიკოლმეურნეობაში გაერთიანებულია 27 წევრი. მიმდინარე წელს მათ უნდა მოკრიფონ 5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. დღეისათვის უკვე დამზადებულია 2 ტონაზე მეტი ნედლეული. კილოგრამ ჩაის პირველ ხარისხზე მიიღებენ ანაზღაურებას 50 კაპიკს, მეორე ხარისხზე—40 კაპიკს, ხოლო ივლისის თვიდან ეს ანაზღაურება 60 კაპიკამდე გაიზრდება.

გასული წლის მონაცემებით მათ გადაჭარბებით შეასრულეს მათზე დაყვანილი გეგმა და შვიდმა ბავშვმა ათასი მანეთის ოდენობით პრემიაც კი მიიღო.

ზაფხულში უფრო უჭირს კოლმეურნეობას, როცა ბავშვები დაიფანტებიან.

—შარშან მხოლოდ ხუთნიღა დავრჩით,—მიყვება კოლმეურნეობის აღმრიცხველი მაია ქადარია, ძალიან გაგვიჭირდა მაგრამ გეგმა მაინც შევასრულეთ. მე თვითონ ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მაქვს მოკრეფილი, ასევე ვაპირებ მიმდინარე წელსაც...

ნ. ჯგუშია.

---

# ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის

ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ჩატარდა რესპუბლიკის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეების თათბირ-სემინარი, რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა თბილისში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში.

სემინარი გახსნა რესპუბლიკის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ჯავახიშვილმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ლექცია თემაზე: „ქალთა შორის სამართალდარღვევის მდგომარეობა და მის პროფილაქტიკაში ქალთა საბჭოების მონაწილეობა“, რომელზეც ვრცლად ისაუბრა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა შ. გორგოძემ. ეს საუბარი ძალიან შედეგიანი გამოდგა აღნიშნული პრობლემით დაინტერესებული მუშაკებისათვის.

საინტერესო საუბრებით წარსდგნენ ლექტორები: ლ. ტუხაშვილი, თ. ქარელი, რ. მიმინოშვილი, დ. გეგეშიძე, ზ. კვაჭაძე ნ. უზნაძე და სხვები.

თათბირ-სემინარზე აღინიშნა, რომ ქალთა საბჭოები წარმოადგენენ დიდ ძალას, რომელთაც შეუძლიათ რეალური გავლენა მოახდინონ რეგიონში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

მ. ბუცხრიკიძე,
ქ. ზუგდიდის ქალთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ლამაზი ბიოგრაფიის ადამიანები

# საქმემ გამოარჩინა

ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის კოლექტივში არაერთი კეთილსინდისიერი, თავის საქმეზე შეყვარებული პროფესიონალი იღვწის. მათ შორისაა მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი რაულ ქარჩავა. მისი ორგანიზატორული უნარი და კომპეტენცია განაპირობებს მნიშვნელოვანწილად სამექანიზაციო სამუშაოების გამართულად წარმართვას. აქ ხომ ასეულობით სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალებები ერიცხებათ, რომლებიც ამინდს ქმნიან წარმოებაში.

დიახ, პატივცემული რაული საინტერესო ბიოგრაფიის სამეურნეო მუშაკად გვევლინება. წლებმა და შრომითმა გამოცდილებამ, განსაკუთრებით მაინც ტექნიკისადმი სიყვარულმა მოიტანა აღიარება, პატივი. მაგრამ მუშური გზის დასაწყისი ია-ვარდით მოფენილი როდი გახლდათ. ყველაფერი მონდომებამ და სიბეჯითემ დაძლია.

**—ზოგიერთი სამეურნეო შტრიხი, რომელიც ჩვენი წერილის გმირის პორტრეტს წარმოაჩენს:**

დღეისათვის კომბინატში მექანიზირებული წესით მოკრეფილია 1340 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.. მაის-ივნისის გეგმიური დავალება 1526 ტონას ითვალისწინებდა. სახეზეა მექანიზატორების დიდი წვლილი. უფრო მეტიც. მექანიზირებული კრეფის ორი თვის გეგმა ვადამდე ადრე იქნა გადაჭარბებული.

რ. ქარჩავას ძნელად დააცდევინებ საკუთარ როლზე რაიმეს. მან თავისი „ხალხის" დასახელება გვთხოვა. ძალიან ბეჯითად იღვწიან ტექნიკის სანიმუშო მოვლისა და მათი მაქსიმალური ეფექტიანობის გამოყენებისათვის ინჟინერ-მექანიზატორი ჯ. არქანია, სარემონტო სახელოსნოს გამგე ზ. გერსამია, მუშები: ნ. პრუცკინი, ნ. სკალსკი, დ. ჭაკალია, მექანიზატორები: ვ. მეუნარგია, გ. გუგუჩია, კ. ქობალია, ო. გაგუა, ს. ხარჩილავა, მ. ქარჩავა, ზ. გუგუჩია. რ. გაგუა და სხვები.

თვითონ ინჟინერ-მექანიზატორი რ. ქარჩავა ბევრი კარგი წამოწყების და ინიციატივის ორგანიზატორია, მისი თაოსნობით მეურნეობაში დაინერგა ხუთი რაციონალიზატორული წინადადება. მათ შორის ყველაზე მთავარი და ეფექტიანია საწრეტი არხების გასწვრივ მდებარე შპალერებზე ჩაის მექანიზირებული კრეფის დანერგვა.

საქმე იმაშია, რომ არხების გასწვრივ მდებარე ჩაის ბუჩქების მექანიზირებული კრეფა ჩვეულებრივი მობილური მანქანებით მოუხერხებელია. ამიტომ ბუჩქების გადაკრეფა ხდებოდა მუშახელით. ეს კი ძალზე ართულებდა მდგომარეობას, იმის გამო, რომ მეურნეობა მუშახელის დიდ დეფიციტს განიცდის. არა და ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატში ასეთი ფართობი 18 ჰექტარს სჭარბობს, რომელიც მთელს სეზონში ყოველდღიურად 80 მკრეფავის დაძაბულ შრომას მოითხოვდა.

რაციონალიზატორმა რ. ქარჩავამ „ჩა—900" მარკის მანქანის საკრეფი აპარატი თვითმავალ შასზე გვერდით დაჰკიდა, რამაც არხისპირა ბუჩქებზე მექანიზირებული კრეფა მოსახერხებელი გახადა.

ყოველივე ამან მუშაობა ძალზე გააიოლა. იმ სამუშაოს, რომელსაც 80 ხელით მკრეფავი სჭირდებოდა დღეს მარტო ერთი ან უკიდურეს შემთხვევაში ორი მექანიზატორი ასრულებს. ასეთი ოდენობით მუშახელის გამოთავისუფლებამ კომბინატს წელიწადში 30 ათასი მანეთის ეკონომია მისცა.

შინაგან კმაყოფილებას აღიძვრს ინჟინერ მექანიზატორს ის ფაქტი, რომ მისი წვლილი ასე შესაბამად ენივთება კოლექტივის ძალისხმევას.

ვუსურვებთ მომავალ წარმატებებს.

ბ. ბაზუნია,
ჩვენი კორ.

იაკობ გოგებაშვილი — 150

გაზეთ „ოდიშის" 21 ივნისის ნომერში მოთავსებული წერილით „იაკობ გოგებაშვილის 150 წლისთავის შესახვედრად", გვატყობინებენ, რომ მიღებულია საბოლოო გადაწყვეტილება ქალაქის ცენტრში დიდი ქართველი პედაგოგის ბიუსტის დადგმის შესახებ. აქვე შემოთავაზებულია ხუთი ვარიანტი ბიუსტის ადგილის შერჩევაზე, აინტერესებთ საზოგადოების აზრი, წინადადებები.

# მადლიერებით ვეხმაურებით

ვიდრე ჩვენს მოსაზრებას შემოგთავაზებდეთ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ზუგდიდელი პედაგოგები მადლიერების გრძნობით შეხვდნენ მიღებულ გადაწყვეტილებას. საიუბილეო ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად გულმოდგინედ სწავლობენ საქართველოში კლასიკური პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, საბავშვო მწერლის, დედაენის სწორუპოვარი ბურჯისა და საზოგადო მოღვაწის—იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას, სასწავლებლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ტარდება ლექციები, მოხსენებები, დილა-საღამოები, ეწყობა გამოფენები, სტენდები—მიძღვნილი ერის სასიქადულო მამულიშვილის იუბილისადმი. სასწავლებლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის სპეციალური დაკვეთით მზადდება ფერადი, მაღალმხატვრულად შესრულებული დიდი იაკობის საიუბილეო პორტრეტები. ზუგდიდელებს არც იუბილარის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება დავიწყებიათ. ქალაქის პედაგოგთა დელეგაციამ საიუბილეო დღეებისადმი მიძღვნილი საინტერესო ექსკურსია მოაწყო, დაათვალიერა საგურამოს, თბილისის, გორის ღირსშესანიშნაობანი, ესტუმრა ი. გოგებაშვილის სახელობის ვარიანის საშუალო სკოლას, იუბილარის სახლმუზეუმს. ვარიანელი პედაგოგები და სახლმუზეუმის მუშაკები გულთბილად შეხვდნენ ზუგდიდელ სტუმრებს. დელეგაციის ხელმძღვანელმა ზუგდიდელი პედაგოგების სახელით სიტყვით მიმართა და ფაიფურის ქარხნის მიერ დამზადებული ძვირფასი სამახსოვრო საჩუქრები გადასცა სკოლისა და მუზეუმის კოლექტივებს. მასპინძლებმა მადლობა გადაუხადეს მათ და ზუგდიდელებს დედაენის ახალი გამოცემები და სხვა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. ასე ჩაეყარა საფუძველი გორელ და ზუგდიდელ პედაგოგთა მეგობრობას.

იუბილისათვის მზადების დღეები კვლავაც შინაარსიანად და ნაყოფიერად წარიმართება.

მინდა შემოგთავაზოთ ჩემი წინადადებაც. მქონდა შემთხვევა, მონაწილეობა მიმეღო ქალაქის ცენტრში ბიუსტისათვის შესაფერისი ადგილის დათვალიერებაში. საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობამ არქიტექტორის, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ვახტანგ დავითაიას და მისი კოლეგების თანხლებით ფეხდაფეხ შემოიარა ქალაქის ცენტრის სავარაუდო ადგილები. თითოეული ადგილის გარშემო გაიმართა პროფესიული სჯაბაასი. არჩევანის უპირატესობა მაინც ფართო საზოგადოებრიობას მიენიჭა.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, ქართველი ერის სასიქადულო პედაგოგის ბიუსტი დაიდგას ქალაქის ცენტრალური სკვერის კედრებისა და ქადრების ხეივანში გამდინარე ნაკადულთან პირით კინო „საქართველოს" შენობისაკენ. (იაკობის სახელიც ხომ ნაკადულზეა აშენებული ვარიანში). ბიუსტის მარჯვნივ, უკვე ლამაზად გაკეთებული შავი მარმარილოს მრავალკუთხედში ჩაერთოს შადრევანი, ხოლო მარცხნივ, ისევ ზედ ნაკადულზე ინდივიდუალური პროექტით მოეწყოს წყარო, დარჩენილი ადგილი მოშანდაკდეს, რათა ამ წმინდა ადგილზე ზუგდიდელმა პატარებმა იზეიმონ „ანბანის დღესასწაული".

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შადრევნისა და წყაროს ინდივიდუალური პროექტით მოწყობა ზუგდიდის პედსაზოგადოებრიობის სახელით ეთხოვოს საქართველოს „ქალაღდის"-მრეწველობის საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს, სახალხო განათლების მრავალგზის წარჩინებულს ოთარ ფაცაციასა და სახალხო განათლების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს, მოსწავლე-ახალგაზრდობის გულისხმიერ მეგობარს, საწარმოო კოოპერატივ-მექანიკური კომბინატის დირექტორს ანზორ ქუჩულორიას.

დავით აბსავა,
იაკობ გოგებაშვილის 150 წლისთავის საიუბილეო კომისიის წევრი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

**მიზანი: უსაფრთხო მოძრაობა გზებსა და გზაჯვარედინებზე!**

# მოვუხმოთ ფხიზელ გონებას

გონიერება ყველგან სჭირდება კაცს, მაგრამ სხვაზე მეტად საჭიროა იგი ავტომანქანის საჭესთან მჯდომი ადამიანისათვის. არა გვგონია, ეს აზრი სადმე ვაინმეს ეჭვის ქვეშ დაეყენებინოს. ახლა, ვისთვისაა საიდუმლო, რომ ჩვენს ქალაქში ზოგიერთი ავტომფლობელი ჯერ კიდევ უგულებელყოფს სამანქანო მოძრაობის წესებს. გაიხსენეთ, რამდენი სიტყვა დაიწერა, რამდენი ხმამაღალი სიტყვა ითქვა ამ თემაზე. ვისაც ქალაქის ქუჩებში ნამდვილად ჰქონია უფლება მართვისა, და გონზეც მოუყვანია. ქალაქის სახავტოინსპექციის თანამშრომლებმა არაერთგზის დაგვისახელეს ასეთი პირები. ბუნებრივია, ყოველი მათგანი პატივისცემას იმსახურებს. და შესაძლოა სხვა დროს მათზე საგაზეთო მასალაც მომზადდეს, მაგრამ ამჯერად ისევ და ისევ ყურადღების გამახვილება გვიწევს იმ კატეგორიის მძღოლებზე, რომელთა პასუხისმგებლობის ინდექსი დღემდე ვერა და ვერ ამაღლდა სასურველ დონემდე.

ხოფელ კახათში მცხოვრები ელგუჯა ოდიკის ძე ჩიქავა, №12 სამშენებლო ტრესტის მექანიზაციის სამმართველოს ტრაქტორისტი, ამასწინათ ავტოინსპექციის მუშაკებმა ამხილეს არაფხიზელ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისას.

ანალოგიურ დანაშაულში იქნა მხილებული ინდიკო მამიას ძე აბლოთია, მართალია, იგი მეზობელი გალის რაიონის მცხოვრებია, მაგრამ ნაბახუსევმა ჩვენს ქალაქში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე გააქროლა საკუთარი ავტომანქანა „მოსკვიჩი".

მოძრაობის წესები უხეშად დაარღვიეს და მილიციის თანამშრომლის მოთხოვნას გაჩერებაზე არ დაემორჩილნენ: პარიზის კომუნის ქ. №6-ში მცხოვრები ვახტანგ ალიოშას ძე ჯალაღონია, მოსაშვილის ქ. №31-ში მცხოვრები მალხაზ ტარიელის ძე თორდია, „პრავდის" ქ. №7-ში მცხოვრები ბესიკ დეპოშას ძე ლატარია, საირმეს ქ. №85-ში მცხოვრები მუშიკო მიხეილის ძე სიჭინავა.

ყველა ამ პირთა მიმართ გატარებულ იქნა კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომები.

არ გვინდა ისე დავასრულოთ ეს წერილი, რომ კიდევ ერთ ყოვლად მიუღებელ, გაუგებარ სიტუაციას არ შევეხოთ. საქმე ისევ იმ მძღოლთა კატეგორიას ეხება, რომლებმაც თვითნებობის ყველა რეკორდი უკან მოიტოვეს. რომელ ჩვენგანს არ შეუნიშნავს და გული არ ტკენია ზედ ტროტუარებზე შეგდებულ ხმაზე? მიშვებული მანქანების გამო. ნუთუ ფეხით სავალი ნაწილი მაინც არ უნდა დაგვითმოთ ქვეითად მავალთ? ზოგჯერ ქალაქის ცენტრში, თვალსაჩინო შენობების წინ, ზედ კედელთან ისე მიაყენებენ მანქანებს, რომ მთელი ლაბირინთების გავლა გიწევს კაცს. სად ხდება ასე, რომელ ქალაქში ბედავენ ამას, შეგნების რა დონეზე უნდა იყო, რომ ამდაგვარი თავხედობა დაუშვა? ნუთუ სინდისმა, შინაგანმა ხმამ არ უნდა დაგიშალოს ასეთი რამის გაკეთება, სანამ სახავტოინსპექციის წარმომადგენელი თავზე არ დაგადგება, ანდა შენი თანაქალაქელი პრინციპულად არ მიგითითებს?

პატივცემულო მძღოლებო! ალბათ თქვენც რწმუნდებით, რომ ყოველივე ზემოთთქმული ღირს სერიოზულ დაფიქრებად. მაშ, მოვუხმოთ ფხიზელ გონებას. პატივი ვცეთ ერთმანეთს და მშობლიური ქალაქის პრესტიჟს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასამართლო დარბაზიდან

# ვინ არის დამნაშავე?

მამამ შვილი თოფიდან გასროლით მძიმედ დაჭრა. ამ უამურ, თავისი არსით ტრაგიკულ ფაქტს წინ უძღოდა სხვა ამაზრზენი და აღმაშფოთებელი შემთხვევა...

ამა წლის 30 მარტს ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში, თავის საცხოვრებელ სახლში დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა განსაკუთრებული სისასტიკით სიცოცხლეს გამოასალმეს ხანდაზმული ქალი ა. აბსანძე. აღნიშნულ მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა დასადგენად ოპერატიული ზომების მიღების დროს შინაგან საქმეთა ზუგდიდის რაიგანყოფილებაში დაბარებულ, დარჩელში მცხოვრებ ფრონტელ სიჭინავას მიეცა წინადადება მილიციის განყოფილებაში მოეყვანა თავისი ვაჟიშვილი იაგო სიჭინავა. ვინაიდან ეს უკანასკნელი ბოლო დღეებში სახლში არ იმყოფებოდა, მამა დაეჭვდა, ჩემმა შვილმა ხომ არ ჩაიდინაო ეს გაუგონარი დანაშაული და დაიწყო მისი ძებნა. 8 აპრილს, ღამით, მამაშვილი ერთმანეთს შეხვდა სოფლის გზაზე. მშობელმა შეამჩნია, რომ შვილს რაღაც საგანი ედო ჯიბეში. მას მართლაც აღმოაჩნდა ვაზნით დატენილი, ერთლულიანი გადახერხილი სანადირო თოფი. ფ. სიჭინავამ ჰკითხა შვილს, მის მიერ ხომ არ იყო მკვლელობა ჩადენილი. იაგო სიჭინავამ არ უარყო მკვლელობაში თანამონაწილეობა. გაგონილით თავზარდაცემულმა, უკიდურესად აღელვებულმა ფ. სიჭინავამ თავს ვერ სძლია და ღამის სიბნელეში ავად დაიქუხა თოფმა... მძიმედ დაჭრილი ი. სიჭინავა საავადმყოფოში იქნა წაყვანილი, სადაც სამედიცინო პერსონალის დიდი ძალისხმევის შედეგად ძლივსღა გადარჩა, მაგრამ მისი მდგომარეობა დღესაც რთულია.

აღნიშნული საქმის გამო ამ დღეებში შედგა სასამართლო პროცესი. ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლომ (ნ. არნანიას თავმჯდომარეობით) ფრონტელ სიჭინავას სასჯელის ზომად შეუფარდა გამასწორებელი სამუშაოები ორი წლის ვადით, სამუშაო ადგილზე მოხდით.

## წერილი რედაქციას

# აუცილებელია...

1979 წლიდან ზუგდიდში არ შეუდგენიათ და არ გამოუციათ ტელეფონების აბონენტთა წიგნი. მას შემდეგ ერთიორად გაიზარდა აბონენტთა რაოდენობა წარმოება-დაწესებულებებსა თუ ბინებში.

ახალი სატელეფონო წიგნის უქონლობა დიდ სიძნელეებს გვიქმნის მუშაობაში და ზოგჯერ უხერხულობაშიც გვაყენებს.

საშური საქმეა ტელეფონების აბონენტთა ახალი წიგნის გამოშვება, რასაც გვპირდებოდნენ, მაგრამ საქმე არ ჩანს.

ვის ევალება და ვინ აგებს ამაზე პასუხს?

ვაჟა ფიფია.

# როგორ მოვიქცეთ?

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში მწვავედ შეიმჩნევა ყოველდღიური მოხმარების საგნების დეფიციტი, მაგრამ ამჟამად შაქარზე გვინდა გამოვთქვათ ჩვენი გულისტკივილი, განსაკუთრებით ვწუხვართ ქალაქში მცხოვრებნი, რომლებიც თითო სულზე 1 კილოგრამ შაქარს ვღებულობთ, მართალია, არც სოფელია ამ მხრივ განებივრებული, მაგრამ ისინი ნორმირებულ 2 კილოგრამს მაინც იღებენ. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, შიშით ჩაი ვერ დაგვილევია ნორმალურად. ოჯახში პატარები გვყავს და ბავშვებს ხომ ჩვენზე მეტი სჭირდება შაქარი...

ძვირფასო რედაქციავ! ჩვენ საქმიან პასუხს ველით.

ნ. დარასელია,
ლ. რიგვავა,
მ. ჯიმონაია.

## ეს საინტერესოა

# კვება და ჯანმრთელობა

ოტავა. თუ გინდათ მინიმუმამდე დაიყვანოთ გულის დაავადებით ან კიბოთი დასნეულების შანსი, თუნდაც ოცი პროცენტით შეამცირეთ სხვადასხვა სახის ცხიმებისა და პროდუქტების მოხმარება. ამას ურჩევს კანადელებს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, რომელმაც გამოუშვა სპეციალისტების ჯგუფის მიერ მომზადებული „კანადური სახელმძღვანელო ჯანმრთელი კვების შესახებ".

დადგენილია, რომ კარდიოლოგიურ და სიმსივნურ დაავადებათა განვითარებას ხელს უწყობს ცხიმების ჭარბი მოხმარება. კანადელებს ურჩევენ მეტი რაოდენობით ჭამონ რთული ნახშირწყლები უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ბურღულეული, პური, ბრინჯი, აგრეთვე ბოსტნეული და ხილი. დიდი რაოდენობით ცხიმების შემცველი ყველაზე გავრცელებული პროდუქტების სიაშია რძე და რძის პროდუქტები, —აგრეთვე ხორცი. (საქინფორმი).

საზოგადოებრივი წესრიგის, კანონიერების განმტკიცება ყოველთვის იყო და არის საზოგადოების მთავარი საზრუნავი. ეს

# სხვაგვარად საქმეს არ ეშველება

## კანონიერების განმტკიცებისათვის

განსაკუთრებით აუცილებელია დღეს ვაჭრობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა დარგებში.

როგორც სხვაგან, ასევე, ჩვენთანაც იზრდება ნეგატიური მოვლენები: ქურდობა, იარაღის ტარება, მუქთახორობა, ლოთობა და სხვა. სრულიად არადამაკმაყოფილებლად გამოიყურება პარტიისა და მთავრობის მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობა.

ჩაიდენს ახალგაზრდა დანაშაულს და მერე ატყდება განგაში, სად არიან მანამდე საწარმო-დაწესებულებები, სადაც ეს ახალგაზრდები მუშაობენ, პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები, ნათესავ-მეგობრები? საქმე ისაა, რომ ამ ორგანიზაციებში მოკალათებულია საქმოსნები, ისინი თვითონვე გამოდიან კანონის დამრღვევებად. რა სურათებია სოფლებში? ეს გავლენიანი ამხანაგები თვითნებურად ითვისებენ მიწებს.

ამ უბენზინობის დროს სოფლად მანეთად ყიდიან ბენზინს. საიდან გაჩნდა ეს გასაყიდი რაოდენობა? სწორედ იმ ვაიხელმძღვანელების ხელის შეწყობით ხდება ეს.

ქალაქის შუაგულში, ბაზრის წინ იმდენი მანქანები დგას, ფეხით მოსიარულე ვერ გაივლის. ყველამ იცის, რომ ეს აკრძალულია, მაგრამ თვალს ხუჭავენ.

საჭიროა მაკონტროლებელი ორგანიზაციების გააქტიურება, აქ კომისიებში უნდა იქნეს შეყვანილი ნამდვილად პატიოსანი, უკომპრომისო ადამიანები.

სხვაგვარად საქმეს არ ეშველება.

შ. ლემონჯავა.

რედაქტორი
აკ. შანტურია.

# განცხადებები, რეკლამები...

## კოოპერატივებისა და არენდაზე გადასული წარმოება-ორგანიზაციების საყურადღებოდ!

არენდაზე გადასული წარმოება-ორგანიზაციები და კოოპერატივები, რომლებიც სარგებლობენ კომუნალური წყალსადენითა და კანალიზაციის კოლექტორით, ვალდებული არიან ივლისის თვის ბოლომდე „წყალკანალის" სამმართველოში გააფორმონ ხელშეკრულება წყალმიწოდება-წყალჩაშვებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუწყდებათ წყლის მიწოდება.

წყალკანალის ადმინისტრაცია.

## გაზით მოსარგებლე აბონენტთა საყურადღებოდ!

როგორც თქვენთვის ცნობილია, ტრესტ „ზუგდიდგაზს" შექმნა უკიდურესი მდგომარეობა საბრუნავი ბალონების უქონლობის გამო, მიზეზი გამოქვეყნებული იყო პრესაში. ტრესტმა დაიწყო მოსახლეობიდან თითო ბალონის ამოღება, რომ შექმნას საბრუნავი ბალონების მარაგი. ამ ღონისძიებას გამოეხმაურა სოფ. ორსანტია, საიდანაც ორგანიზებულად ხდება ბალონების ამოღება. ამ ღონისძიების გატარებას ხელს უწყობს ორსანტიის სასოფლო საბჭოს აღმასკომი, მეურნეობის დირექცია და მისი აქტივი, ასევე დიდი მონდომება გამოიჩინეს განმუხურის, კორცხელის, რუხის, ჩხორიის სასოფლო საბჭოს აღმასკომებმა, აღნიშნულ სოფლებში მიმდინარეობს ბალონების ამოღება, ტრესტი აძლევს გარანტიას იმ აბონენტებს, რომლებმაც ჩაგვაბარეს ბალონები, მივაწოდოთ გაზი შეუფერხებლად, იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა საერთო შეფერხება, იმ აბონენტებზე, რომლებიც არ ჩააბარებენ ბალონებს, ტრესტი პრეტენზიას არ მიიღებს, ტრესტის ადმინისტრაცია თხოვს მოსახლეობას გაითვალისწინონ შექმნილი მდგომარეობა და ჩაგვაბარონ ბალონები, რომ მოგვეცეს საშუალება ამოღებული ბალონები გადავახარისხოთ, შესაკეთებელი შევაკეთოთ, ხოლო უვარგისი ჩაბარდეს ჯართს.

ტრესტის ადმინისტრაცია.

დედა ანტისა, მეუღლე ნონა ქვარცხავა, შვილები: თეა, თემური. ძმა ინდიკო, რძალი ირა სიჭინავა, ძმისშვილები: მარიკა, ლევანი, სიდედრი თინა ქვარცხავა, ცოლისძმა კონსტანტინე, ბიძები: დური, ტარასი ციმინტიები, ბიცოლები ლუბა, ლიანა, მელაში, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**რეზო ალექსანდრეს ძე ივარდავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6, 7 ივლისს. დაკრძალვა 8 ივლისს 17 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, 5 დეკემბრის 11.

შვილები: ნათელა, მარგო, ბორისი, ანზორი. დები: ლიდია, ტატიანა, ძმა ვალიკო, რძლები: ნანული ბზიკაძე, ეთიკო. შუშანიკა ქირიები, გული ქობალია, ნაზია ხვიჩია, მაზლი დამიანე დიდიშვილი სიძეები ანტონ ალასანია, ათუნია პაჭკორია, შვილიშვილები ნონა, ეკა, ბელა დიდიშვილები. სვეტლანა, გია ალასანიები, ლიანა, თენგიზი. პაატა პაჭკორიები, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები, დეიდაშვილები ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვერიჩქა (ვერა) გოჩას ასულ ქირია-დიდიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 ივლისს. დაკრძალვა 8 ივლისს სოფელ ურთაში.

ოდიშის მეორე საშუალო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**რეზო ალექსანდრეს ძე ივარდავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შვილი სვეტლანა შონია, შვილიშვილები: ნინო, ნონა, სიძეები: ზაური თოდუა, ზურაბი ქარდავა იოსებ სოსელია იუწყებიან

**ბაგრატი ძაკუს ძე შონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 ივლისს, დაკრძალვა 10 ივლისს, გამოსვენება ქ. გალი, ნინოშვილის ქ. №8 18 საათზე.

შვილი გული. ძმა ვლადიმერი, რძლები მერი მირგატია, ვერა ვაშაკიძე, ტატიანა გაბილაია, მერი შეროზია, ქენია ხაზალია. სიძეები: დიმიტრი აფხაზავა, გია გვილია, შვილიშვილები: ლალა, ნანა წურწუმიები, ვიოლეტა, ვიტალი აფხაზავები, შვილთაშვილები: გივი. ირაკლი გვილიები, მაზლი ვარლამი, მული მინუცა, მზახალი ვერა აბშილავა, ძმისშვილები ლუიზა. ლეილა, მურმანი, აზა, რობერტი. ნონა კუკავები, დისშვილი ნელი კუკავა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნაზია (ნადი) ერასტოს ასულ კუკავა-წურწუმიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6 ივლისს, დაკრძალვა 7 ივლისს სოფელ ორულუში.

ორულუს რძის საწარმოს დირექცია, სასოფლო საბჭოს აღმასკომი იუწყებიან

**ალექსანდრე სოლომონის ძე სორდიას**

გარდაცვალებას.

ქ. ზუგდიდის კოოპვაჭრობის თანამშრომლები იუწყებიან

**ჟუნა მანუჩას ასულ ფირცხელავა-ალანიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ძმისშვილები: ნონა, ომარი, ნანული, დოდო, ჯუმბერი, ბესიკი, ინგა, ლელა. რუსიკო, ეკა. გოგინავები, ნუნუ მატარია, რძლები: ნინო ჯიქია, თინა ჩაკვეტაძე, ლუდა ზარანდია, ნაზი წიწავა, სიძეები ტოლიკი კვარაცხელია, ჯერბინო ნარმანია, მოგელი პერტია, კობა ვართაგავა, ბიძაშვილები ბაბი, ვარო გვილიები იუწყებიან

**ბაბი კაჭიას ასულ გოგინავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6 ივლისს. დაკრძალვა 7 ივლისს სოფელ ცაიშში (ცაცხვი).

შვილები ტატუშა, ილიკო, მაყარო, შოთა, ბიჭიკო. ირაკლი. დები ფორთო, ივლიტა, რძლები: გული. ზოია. ნელი. ნაზია, ლეილა, დიანა, ნანი. შვილიშვილები მზისა, დემური, ეთერი, მირანდა. მალხაზი, ლარისა, გენო. ზური, ცაცა, ვალერი, მედიკო. ინდირა, როლანდი. შაქრო, მანონი. დალი. იურა. სიძეები: მიტუშა კეზუა, თემური ცომაია, დათო მიქაძე, ლევთე თოდუა, ტოლიკი გოგია, თენგიზი ქირია. ძმისშვილები, დისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**მიდიშა ელიზბარის ასულ ყორშია-სურმავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6 ივლისს. დაკრძალვა 7 ივლისს 18 საათზე სოფელ ოქტომბერში.

შვილი მედეა ჩიკვატია, მზახალი ბაბუცა ბულია, სიძე ავთო ჯანაშია, შვილიშვილები: ნინო, დათო ჯანაშიები. იუწყებიან

**ნათელა ბოკოს ასულ კვეკვესკირი-ჩიკვატიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 ივლისს 18 საათზე, გამოსვენება ქ. გალი, კიროვის ქ. 12.

ბიძაშვილები ნათელა, კლარა, დილარ ივარდავები ოჯახებით იუწყებიან

**რეზო ალექსანდრეს ძე ივარდავას**

გარდაცვალებას.

ზუგდიდის №5 ჩაის ფაბრიკის კოლექტივი იუწყება

**რევაზ ალექსანდრეს ძე ივარდავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის—2-35-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-36, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-13, რადიორედაქციის —2 47 06

ბეჭ. სსრ გამსახკომის ზუგდიდისსტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2-28-07 ტირაჟი 22000, შეკ. №3255